



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020114792647518

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 1703/ს

21 / ნოემბერი / 2018 წ.

შპს "Zeskho Mining Co., Ltd"-ზე (ს/კ 404959513) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N1001148) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-100 მუხლის მე-3 ნაწილისა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹ პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულებების" მე-4 მუხლის "ვ" ქვეპუნქტისა და სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2018 წლის 14 ნოემბრის N2170 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს "Zeskho Mining Co., Ltd"-ზე (ს/კ 404959513) გაცემული N1001148 ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებით;
2. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვადად განისაზღვროს ბრძანების გამოცემიდან ორი თვე;
3. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირი მოსმენის ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭოს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსს - შორენა იოსებიძეს;
4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობოს შპს "Zeskho Mining Co., Ltd"-ს და განემარტოს, რომ უფლება აქვს წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;
5. ბრძანება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

